განმცხადებელი : პაატა შავაძე -ლეილა გურგუჩიანისა და ჯონი ჩაკვეტაძის -წარმომადგენელი მინდობილობით

თარიღი : 13.07.23

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპი : ტელეარხი "ტვ პირველი", ნოდარ მელაძის შაბათი, სიუჟეტის ჟურნალისტი -თამთა დოლენჯაშვილი

სადავო მასალა :

- ტელეკომპანია "ტვ პირველის" 2023 წლის 08 ივლისის „ნოდარ მელაძის შაბათი“;

  https://m.youtube.com/watch?fbclid=IwAR0l03PRKWdBbQ3fLiQ3pX3tahioDXgqs_sD-B_0faSuZBHY5r4bIxflJlw&v=mBJVxzK-2Jg&feature=youtu.be

ჟურნალისტის/რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 08 ივლისს, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ეთერში, „ნოდარ მელაძის შაბათი“ - ს გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი სათაურით **„ბავშვებზე სექსუალურ მოძალადეს სასამართლომ ციხის კარი გაუხსნა“,** რომელშიც საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების გზით, იკვეთება ჩემი მარწმუნებლის - ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ, მიმდინარე წლის 29 ივნისს გამართლებულის - ჯონი ჩაკვეტაძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მცდელობა.

ტყუილი პირველი - სიუჟეტის ავტორი, თამთა დოლენჯაშვილი, ცალსახად, მიზანმიმართულად, მეორე მხარის აშკარა ლობირების გზით, არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ პრინციპს და საჯაროდ, დაურიდებლად აცხადებს, რომ ჩემი მარწმუნებელი ჯონი ჩაკვეტაძე არის სექსუალური მოძალადე და ამას ჟურნალისტი აკეთებს იმ ფონზე, როდესაც ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ, ჯონი ჩაკვეტაძე ბრალდების ყველა ეპიზოდში და ორივე არასრულწლოვნის მიმართ უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა, რაც სიუჟეტის ავტორისათვის ცალსახად იყო ცნობილი ეს ფაქტი. ამას ის ვერც უარყოფს, სიუჟეტიდანაც შესანიშნავად იკვეთება. დავიწყოთ იქედან, რომ სწორედ გამამართლებელი განაჩენის დადგომას მიეძღვნა ეს სიუჟეტი და მეტიც, თავად ჟურნალისტი აცხადებს, რომ ჯონი ჩაკვეტაძე დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთმა სასამართლომ გაამართლა. ხოლო იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტისათვის ჯონი ჩაკვეტაძის მიმართ, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ცნობილი იყო და რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ მოუხსნა მას მოძალადის სამარცხვინო სტატუსი, ჟურნალისტმა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება არარად ჩააგდო და ჯონი ჩაკვეტაძე-გამართლებული, სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ ცნობილი, მაყურებელს წარმოუდგინა მაინც როგორც არასრულწლოვნებზე სექსუალური მოძალადე, რაც ცალსახად ადასტურებს ჟურნალისტის სურვილს, გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, მიუკერძოებელი გამოკვლევის (გამომძიებელ ჟურნალისტზე ვუთითებთ მითუმეტეს), გარეშე, წინასწარ განზრახვით წარმოუჩინოს საზოგადოებას ჯონი ჩაკვეტაძე, როგორც არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური მოძალადე.

ტყუილი მეორე - როგორც ჟურნალისტი სიუჟეტში აცხადებს, თითქოს ბრალდებული თავს დამნაშავედ სცნობდა და მხარეს სთხოვდა საქმის უკან გათხოვას. რაც ასევე მტკნარი სიცრუეა და სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან, ჟურნალისტმა სიუჟეტში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ჯონი ჩაკვეტაძე, ჯერ კიდევ, სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე სცნობდა თავს დამნაშავედ, ან რაიმე სახით ინანიებდა ბრალდების

დადგენილებით განსაზღვრულ ქმედებას, ან თითქოს მან მოწინააღმდეგე მხარეს ვინმე მიუგზავნა და ასე შემდეგ. ესეც გახლავთ ამ ტელეარხისა და მისი გამომძიებელი ჟურნალისტის მიერ, წინასწარ განზრახულად, დაუსაბუთებელი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის მიწოდება მედიის საშუალებით, რაც ჩემი მარწმუნებლისათვის, მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის უძლიერესი დარტყმაა. უფრო მეტიც, ჟურნლისტი სიუჟეტში იყენებს უკანონოდ მოპოვებულ ფარულ ჩანაწერს, არ ასახელებს თუ ვისგან მოეწოდა მას ეს ჩანაწერი, ანუ, ავთენტურობა, ამ ფარული ჩანაწერისა, არაფრით დასტურდება. ისევე როგორც უცნობია ჩვენთვის და არც ჟურნალისტი ასახელებს იმ პირთა ვინაობას, თუ ვის შორის მიმდინარეობს საუბარი ფარულ ჩანაწერში. უფრო მეტიც, ჟურნალისტი ასახელებს პირის სახელს „ლეილას“ და თავად აკეთებს დასკვნას, რომ **„ლეილა.. ანუ ეს ის ლეილაა, ადვოკატი ლეილა, ყოფილი მოსამართლე ლეილა გურგუჩიანი“,** რომელთანაც შემდგომ იგი ოფისში უნებართვოდ იჭრება და ეკითხება მას, რომ ვინ გაუგზავნა მეორე მხარეს და რატომ? და ამ დროს ლეილა გურგუჩიანი ჩანაწერში არც მის მონაწილეობას და აღნიშნულ ჩანაწერთან არც მის კავშირს არ ადასტურებს. ანუ, ამ კუთხით, ჟურნალისტი ყოველმხრივ შეეცადა არა მარტო ჯონი ჩაკვეტაძისათვის, როგორც გამართლებულისათვის მიეყენებინა რეპუტაციული ზიანი, არამედ მისი კანონიერი ინტერესების დამცველი ერთ-ერთი ადვოკატის, ლეილა გურგუჩიანისათვის. იმ ფონზე, როცა ჯონი ჩაკვეტაძე 9 თვის მანძილზე პატიმრობაში იმყოფებოდა და მას არანაირი წვდომა არავის მიმართ მთელი ამ პერიოდის მანძილზე არ ჰქონდა, ცხადზე ცხადია, ის ვერავისთან ვერ განახორციელებდა კონტაქტს და ჟურნალისტს არც იმის თქმის საფუძველი ჰქონდა, პატიმრობაში მყოფი ჩაკვეტაძე აღიარებდა ჩადენილ ქმედებას თუ არა, მიუგზავნა მან მეორე მხარეს ვინმე თუ არა.

ტყუილი მესამე - ჟურნალისტი შეკითხვას უსვამს ადვოკატს არა იმ ფორმატში, რომ ის როგორც მიუკერძოებელი არბიტრი, საზოგადოებისათვის მტკივნეულ თემატიკასთან მიმართებით საკითხის სიღრმისეულ გამორკვევას ცდილობს, არამედ, მისი მისია და განზრახვა, ჯონი ჩაკვეტქაძის შემდეგ, ახლა უკვე მისი ერთ-ერთი ადვოკატის დამცირება და დაკნინება, მისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებაა. როდესაც გამომძიებელი -ჟუყრნალისტი პირდაპირ მტკიცებით ფორმაში სვამს კითხვას ადვოკატთან თითქოს მან შუამავლები გაუშვა, თუმცა ჟურნალისტის სიუჟეტიდან არსად ჩანს ამ შუამავლების ვინაობა თუ ვინ იყვნენ ან ვინ არიან, ან კიდევ არც ფარული მასალით იკვეთება, რომ ლეილა გურგუჩიანმა გაუშვა ვინმე სადმე, ან თავად ესაუბრება ვინმეს, ჟურნალისტმა ასევე იცრუა და საზოგადოებას მიაწოდა სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია. უფრო მეტიც, კიდევაც რომ ჩავთვალოთ, რომ ლეილა გურგუჩიანმა მხარესთან მორიგების მიზნით ვინმე გაგზავნა, კანონ საწინააღმდეგოს აქაც ვერაფერს ვხედავთ, რადგან, ადვოკატი უფლებამოსილია, ვალდებულიცაა, „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის“, „ადვოკატთა ეთიკის კოდექსით“, ყველა ღონე იხმაროს მხარეთა მოსარიგებლად. შესაბამისად, კიდევაც რომ ჩაითვალოს ის, რომ ლეილა გურგუჩიანი მხარეთა მორიგებას ცდილობდა, ეს გარემოება, ჯონი ჩაკვეტაძის მხრიდან ბრალდებით განსაზღვრული ქმედებების ჩადენის აღიარებას არცერთ შემთხვევაში არ და ვერ ადასტურებს.

ტყუილი მეოთხე - ჟურნალისტი კითხვას უსვამს გამართლებულის მეუღლეს, რომ თითქოს მისმა მეუღლემაც კი აღიარა დანაშაული, რასაც რათქმაუნდა უარყოფს ქალბატონი. სიმართლის დასაზუსტებლად ჟურნალისტმა ვერც კი აჩვენა საზოგადოებას სად და როდის აღიარა დანაშაული და სად არის მსგავსი დოკუმენტი მტკიცებულებისა. აღნიშნულ შეკითხვას ჟურნალისტიც, გამართლებულ ჯონი ჩაკვეტაძის მეუღლეს მტკიცებით, დადასტურებულ ფორმატში უსვამს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა და რაც ასევე მიზნად ისახავდა მის მიზანმიმართულ განზრახვას, რეპუტაციული ზიანი მაინც როგორმე მიეყენებინათ გამართლებული ადამიანიანისათვის, რაკიღა სასამართლომ ის უდანაშაულოდ სცნო.

ჟურნალისტი მომზადებულ სიუჟეტში არაერთგზის აღნიშნავს და იმეორებს გამართლებული, უდანაშაულოდ ცნობილი პირის მიმართ სიტყვა - მოძალადეს და საზოგადოებას მოძალადის სტატუსით აცნობს მას, მაშინ როცა ჟურნალისტისათვის უკვე ცნობილი იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ უკვე მიღებული გამამართლებელი განაჩენის თაობაზე.
ამასთან, ჟურნალისტი ცდილობს ზემოხსენებული ტყუილები გაამყაროს კიდევ ერთი მანიპულაციური გზით და საზოგადოებას აჩვენებს იმიტირებულ სილუეტურ კადრებს, სადაც დადგმულია სცენა, რომელიც ფაქტთან არავითარ კავშირში არ არის. ამავდროულად სიუჟეტში არ არსებობს ფაქტის დამადასტურებელი არც ერთი კონკრეტული კადრი, რომელიც უნდა ასახავდეს

ამბის სინამდვილეს, ამბვის სინამდვილე კი გახლავთ ის, რომ მოქალაქეს, რომელსაც მძიმე ბრალდება ქონდა წარდგენილი სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი საუბრობს პროკურატურა გასაჩივრებას აპირებს ზემდგომ ინსტანციაშიო, რაც ჩვეულებრივი პროცესია და ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს, სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელიც მისთვის მიუღებელი ღმოჩნდება, თუმცა , გამამართლებელი განაჩენის პარალელურად, ჟურნალისტ თამთა დოლენჯაშვილისათვის, უმთავრესი მომენტი არა სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ პროკურორის, როგორც პროცესის მიკერძოებული მხარის ვარაუდია ჯონი ჩაკვეტაძის ქმედებებში დანაშაულის ნიშნების ხედვის თაობაზე და ჯონი ჩაკვეტაძის დამნაშავეობა, ჟურნალისტის აზრით, სწორედ პროკურორის სააპელაციო საჩივრით დგინდება. ანუ, ჟურნალისტი ცალსახად და საქმეში ჩაუხედავად გვიმტკიცებს სიუჟეტში, ადვოკატ ლეილა გურგუჩიანთან საუბრისას, რომ „როგორ ბატონო, როგორ არ არის დამნაშავე, პროკურატურა დანაშაულის ნიშნებს ხედავს და ასაჩივრებსო“....
აქვე დავსძენთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პროკურატურა ბრალდების მხარეა, ბრალდებული, მსჯავრდებული და გამართლებული კი დაცვის მხარენი. შესაბამისად, რომელიმე მხარის მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება განაჩენის შეცვლის საფუძველი. დაცვის მხარეს ისეთივე საპროცესო უფლებები აქვს როგორც ბრალდების მხარეს. აქედან გამომდინარე, ის, რომ პროკურატურას რაღაც ასე მიაჩნია და პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს ხედავს, ეს არ ნიშნავს იმას რომ განაჩენი უკანონოა და ჯონი ჩაკვეტაძე დამნაშავეა, მოძალადეა..
აქვე ჟურნალისტი, იმ ფონზე, როცა ის იურისტი არ არის, მას სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის საკითხებში არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ აქვს, არ გასცნობია სისხლის სამართლის საქამის არცერთ ფურცელს, მტკიცებითი ფორმით და საჯაროდ აცხადებს, რომ ყველა სახის ექსპერტიზის დასკვნა იდოო საქმეში, რომლითაც ბრალდებული არ უნდა გამართლებულიყოო, რომ თითქოს ვიღაცეებს უთქვამს რომ ბავშვების მიერ, სასამართლოსათვის მიცემულ ჩვებებებში ეჭვის შეტანის საფუძველი სასამართლოს არ ჰქონდა და ისე გაამართლა ბრალდებული... ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტი მტკნარი სიცრუის ფრქვევას აწარმოებს, რადგან პროკურატურას საქმეზე მტკიცებულებად არ დაურთავს არცერთი სახის ექსპერტიზის დასკვნა-მათ შორის არც მიკრონაწილაკური, არც გენეტიკურ-სეროლოგიური, არც ბიოლოგიური და ერთადერთი ექსპერტიზის დასკვნა, რაც პროკურატურამ მოცემულ საქმეზე მტკიცებულებად წარმოგვიდგინა ეს ბრალდებულის მიმართ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა გახლდათ. ისევე როგორც მოცემული ბრალდების საქმეზე, გამოძიებამ, არანაირი კვლევა არ აწარმოა არც ბრალდებულის და არც დაზარალებულის საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულ ტანისამოსებზეც. უფრო მეტიც, პროკურორს, მტკიცებულებათა ნუსხაში შეტანა დავიწყებია ბრალდებულის სახლიდან ამოღებული ფეხსაცმლისა...არცც კი ყოფილა მცდელობა საქმეზე ამოღებული ტანისამოსების დათვალიერება მომხდარიყო, ან კიდევ ბრალდებულის ტანისამოსის ამოცნობის საგამოძიებო მოქმედება ჩაეტარებინათ და ყველაზე მეტად მთავარი და უმთავრესი-მოცემულ საქმეზე ბრალდების მხარის მხრიდან არ დანიშნულა არცერთ არასრულწლოვანთან მიმართებით ისეთი მნიშვნელოვანი კვლევა, როგორიც გახლავთ ფსიქოლოგიური ექსპერტიზა...
როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპებიდან გამომდინარე, ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ჟურნალისტმა საზოგადოების მიმართ უნდა გამოიჩინოს პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმოს ფაქტები, რათა გამოაქვეყნოს სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ასევე, მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. კონკრეტულ შემთხვევაში ტელეკომპანიის ჟურნალისტმა -თამთა დოლენჯაშვილმა სიუჟეტით გაავრცელა ცრუ ინფორმაცია ჩემი მარწმუნებლების-ლეილა გირგუჩიანისა და ჯონი ჩაკვეტქაძის მიმართ და საზოგადოებას წარმოუჩინა სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ ცნობილი ჯონი ჩაკვეტაძე, როგორც ბავშვებზე სექსუალურად მოძალადე პირი, ხოლო ადვოკატი ლეილა გურგუჩიანი საზოგადოების თვალში წარმოაჩინოს, როგორც უცოდინარი და კანონდამრღევი ..
გარდა ზემოთ მითითებულისა, თავად ნოდარ მელაძე სიუჟეტის ანონსშიც, მტკიცებით ფორმატში აცხადებს-„ყოფილი და მოქმედი მოსამართლე ერთმანეთს შეეკრნენ“, რითაც ის დადასტურებულად ამცნობს ფართო საზოგადოებას, რომ ჯონი ჩაკვეტაძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის

გამოტანა, არა ადვოკატთა შრომისა და მტკიცებულებათა სიმწირის, არამედ ყოფილი მოსამართლის-ლეილა გურგუჩიანისა და მოქმედი მოსამართლის-ზურაბ ბალავაძის ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედების შედეგია და რაც რა თქმა უნდა რეპუტაციულ ზიუანს აყენებს როგორც ყოფილ, ისე მოქმედ მოსამართლეებს და ზოგადად ქართულ მართლმსაჯულებასა და ადვოკატთა კორპუსსაც.
ამასთან, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ლეილა გურგუჩიანთან ერთად მეც ვიცავდი ჯონი ჩაკვეტაძის კანონიერ ინტერესებს და სწორედ მე წარვსდექი სასამართლოს წინაშე 2023 წლის 29 ივნისს 3 საათიანი დასკვნითი სიტყვით, ლომის წვლილი მეც მიმიძღვის ამ გამამართლებელი განაჩენის დადგომაში, თუმცა იმდენად რამდენადაც, ჟურნალისტის ინტერესში, ლეილა გურგუჩიანი, როგორც ყოფილი მოსამართლე უფრო შედიოდა, რა თქმა სიუჟეტისათვის მოქმედ მოსამართლე ბალავაძესთან „შეკრულობით“ უფრო მძაფრ და სკანდალურ ხასიათს მისცემდა, მე არც კი მომიძებნა, ჩემი პიროვნებით არც კი დაინტერესებულა...არც კი უცდია , რომ ჩემთვის კომენტარი ეთხოვა, თუმცა მან დიდი სიამოვნებით წარმომაჩინა ეკრანზე მაშინ როცა გამართლებულის ოჯახის წევრებთან ერთად, რესტორანში აღვნიშნავდით ამ დიდ წარმატებას და ლეილა გურგუჩიანთან ერთად ვცეკვავდი..

გარდა ამისა, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას გამოცემული აქვს **„ბავშვთა საკითხების გაშუქება“** სახელმძღვანელო, სადაც წესებია დაგენილი ჟურნალისტებისადმი. აქვე წერია, რომ: **მედიის ქცევის კოდექსების უმრავლესობა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე ცალკე ამახვილებს ყურადღებას, ვინაიდან ბავშვების**
უფლებები ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს, მათ შორის მშობლების
მხრიდანაც. სწორედ ამიტომ მედიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, დაიცვას ბავშვის ინტერესები, ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას, სტიგმატიზებას, სტერეოტიპების გამყარებას.
სახელმძვანელოს წესში პირდაპირ ხაზგასმულია ჟურნალისტებისთვის, რომ **უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოთ ისეთი მასალა, რომელიც საზიანო იქნება მისთვისო.** აღნიშნული სიუჟეტი კი პირდაპირ ეხება ბავშვების უფლებების შელახვას, მაშინ როცა აღნიშნული სასამართლოს ყველა სხდომა იყო დახურული და არ უნდა გაჟღერებულიყო ბავშვების მიმართ არაფერი, ჟურნალისტი ადგა და ბავშვებს ყველა დეტალი საქვეყნოდ მოაყოლა.

ვთვლი, რომ აღნიშნული სიუჟეტით დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი.
გთხოვთ მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება და გატარებული ღონისძიებების შესახებ მაცნობოთ.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **: ვეთანხმები**

.

პატივისცემით

პაატა შავაძე.

თინათინ წერეთლის სახელობის საქართველოს სისხლის სამართლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, ადვოკატი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

13/07 /2023